

ცვლილება ძალაშია 2020 წლის 25 სექტემბრიდან

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება:

1. შეიცვალა „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-20 მუხლის 41, 42 და 43 პუნქტები და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„41. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, ბანკის მიერ ყველა მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია, სავალდებულო წესით, განხორციელდება 2021 წლის 01 აპრილიდან. აღნიშნულ თარიღამდე, არსებული მომხმარებლის მიერ ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაცია ფაკულტატურ ხასიათს ატარებს და კლიენტი უფლებამოსილია სურვილისამებრ/საჭიროებისამებრ უზრუნველყოს ხსენებული კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების აქტივაცია. იმ კლიენტებისთვის, რომელთა მიმართ ინტერნეტ ბანკინგის მომსახურების რეგისტრაცია განხორციელდა 2020 წლის 13 აგვისტოდან, ავტომატურად ხდება ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების აქტივაცია.

42. ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციისა და ძლიერი ავთენტიფიკაციის გარეშე, 2020 წლის 01 დეკემბრიდან 2021 წლის 01 აპრილის პერიოდში, კლიენტს ეზღუდება ელექტრონული საბანკო სერვისი. კერძოდ, შემზღუდვის ფარგლებში, ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით, დაიშვება მხოლოდ მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ისა და არსებული ნაშთ(ებ)ის, უკანასკნელი 30 კალენდარული დღის ტრანზაქციებისა და უკანასკნელი 90 კალენდარული დღის გადახდის ოპერაციების ამსახველი ინფორმაციის/ამონაწერის ნახვა.

43. 2021 წლის 01 აპრილიდან ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების რეგისტრაციამდე, კლიენტს ეზღუდება ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობის შესაძლებლობა, გარდა ავთენტიფიკაციის კოდის მიღებისთვის საჭირო მომსახურების აქტივაცია/რეგისტრაციის უფლებისა.“